ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება, ექსპერტიზა"
ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14
ტ. 593 25-19-71 232-88-15 e-mail - r.makhviladze@mail.ru

ქ. თბილისი
№01/85-14

22 იელისი 2014 წელი

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა

ქ. საჩხერეში წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე დანგრეული საყრდენი კედლის აღდგენით სამუშაოთა შესრულებაზე დამადასტურებელი ფორმა №2-ის შემოწმებაზე

აღნიშნულ ობიექტზე შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობისა და ხარისხის შემოწმება მოვახდინე ადგილზე ჩასვლით, გავეცანი საპროექტო დოკუმენტაციას, სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტს და შესრულებულ სამუშაოებზე შევსებულ ფორმას №2.

სამუშაოები შესრულდა შპს „საჩხერის წყალკანალის" მიერ (დირექტორი ვეფხია კილაძე) და საჩხერის მუნიციპალიტეტს შორის 2014 წლის 28 მაისს დადებული №76 ხელშეკრულების საფუძველზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა დანგრეული საყრდენი კედლის ადგილზე ახალი საყრდენი კედლის ამოყვანას, რისთვისაც მიწის სამუშაოები შესრულდა ხელით 35,8 მ³-ის ოდენობით, კორექტორზე დაბეტონდა შოვები, საყრდენი კედლის ქვეშ მოეწყო ბალიში, ასევე ამოყვანილია საყრდენი კედელი, რაზეც მთლიანად დაიხარჯა 43,2 მ³ ბეტონი 2,52 ტონა არმატურასთან ერთად. გარდა ამისა ლიათონის სვეტებზე მოეწყო მართულბადე 30 მ², გაიბა გლინულა, დამონტაჟდა რკინაბეტონის მილი ორ მეტრ სიგრძეზე. შესყიდულად იქნა სხვა მაკომპლექტებელი მასალებიც, რაზედაც ზედნადები ხარჯების 6%, გეგმიური დაგროვების 6%, გაუთვალისწინებელი ხარჯების 2% და დღგ-ს 18% დარიცხვით დაიხარჯა 23439.45 (ოცდასამი ათას ოთხას ოცდაცხრამეტი ლარი და 45 თეთრი)

მასალა-ნაკეთობის შესყიდვაზე გაეცანი შესაბამის ფაქტურებს, რაც აგრეთვე შესაბამისობაშია ფორმა №2-ში დაფიქსირებულთან.

შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებითი შეფასებები ეთანადება მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოშვებულ 2014 წლის II კვარტლის საბაზრო რესურსულ ფასებს და მცირედ განსხვავდება ფორმა №2-ში დაფიქსირებულთან, რაც მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან რესურსულში იგულისხმება საბითუმო ფასები და მცირე პარტიების შესყიდვისას მასალა-ნაკეთობაზე ღირებულებები იცვლება.

გაეცანი აგრეთვე ფარული სამუშაოების შესრულებაზე საკონტროლო აქტებს პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით. კონსტრუქციებში ჩადებული არმატურები დიამეტრებითა და რაოდენობებით ეთანადება საპროექტო სიდიდეებს.

დასკვნა:

1. შემოწმებით ვადასტურებ, რომ შპს „საჩხერის წყალკანალმა" ქალაქ საჩხერის წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე დანგრეული საყრდენი კედლის აღდგენით სამუშაოები შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით სრულად, მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით, ხარისხიც დაცულია, რაც დასტურდება თანდართული ფოტოსურათებიდანაც.

2. აგრეთვე ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის სიდიდეებიც 6-6%-ის ოდენობით არ აღემატება 2014 წლის 14 იანვარს №55 საქართველოს პრემიერ მინისტრის ხელმოწერით დადასტურებულ ტექნიკურ რეგლამენტს - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" შესახებ და მისაღებია დამკვეთსა და სამუშაოს შემსრულებელ ფირმას შორის ანგარიშსწორებისათვის.

3. შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა №2 შევსებულია მომქმედი სამშენებლო ნორმებით დადგენილი წესების დაცვით, მასალა-ნაკეთობებზე შესყიდვის დოკუმენტაცია დასტურდება სასაქონლო ანგარიშ-ფაქტურებით. სამუშაოთა შესრულების ხარისხი ეთანადება სამშენებლო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნილებებს, რის გამოც ფორმა №2-ს რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

ექსპერტი საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის
მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის
დეპარტამენტის პროფესორი, საინჟინრო
აკადემიის სამდეილი წევრი აკადემიკოსი

რევაზ მახვილაძე